ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვერა ოდიკაძის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე არსებულ პერიოდს მოიცავს

2021 წლის 4 დეკემბრიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვარ. წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული ვარ ლეღვან-ვახანის თემის მაჟორიტრი დეპუტატის სტატუსთ.ჩემს სამაჟორიტარო თემს მიეკუთვნება სოფლები:ლეღვანი,მარელისი,დიდვაკე,პატარასახვლარი,ვახანი,ზედუბანი,სერბაისი.

საკრებულოში ასევე ვარ ორი კომისიის წევრი განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის და ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. ასევე ვარ ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი.

საანგარიშო პერიოდში სრულად დავესწარი საკრებულოს გეგმიურ და რიგგარეშე, ასევე კომისიების სხდომებს. საერთო ჯამში, მათი საერთო რაოდენობა შეადგენს 24-ს. აქტიურად ვიყავი ჩართული თითოეული საკითხის განხილვაში, ვაფიქსირებდი საკუთარ პოზიციას ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით,რაც შეეხებოდა ჩემს სამაჟორიტარო თემში განსახორციელებელ საქმიანობას.

რაც შეეხება განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულების საბამისად. საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა თორმეტი სხდომა და ვესწრებოდი ყველა სხდომას.მინდა ვთქვა, რომ როგორც კომისიის წევრი წარმატებით ვახორციელებ ჩემზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობას, მაქსიმალურად ვარ ჩართული დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში. კომისიის მუშაობა, შეიძლება ითქვას, რომ სრულად წარიმართა გეგმის შესაბამისად. მჭიდრო კომუნიკაცია მაქვს ჩემი თემის სკოლებთან და სკოლამდელ დაწესებულებებთან და აქტიურად ვარ ჩართული თითოეული

საკითხის გადაწყვეტაში.ასევე რამოდენიმე პიროვნებას ინდივიდუალურად გავუწიე კონსულტაცია სხვადასხვა საჭირო და მნიშვნელოვან საკითხზე.
კომისიის სხდომებზე განვიხილეთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირების მიერ მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაში. მოვისმინეთ მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში. ასევე მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა) იპ-ების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშები. ეს ა(ა)იპებია: შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება, კულტურის და ხელოვნების ცენტრი, სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი. კომისიამ თითოეული ა(ა)იპის საქმიანობა დადებითად შეაფასა.

ორმხრივი კომუნიკაცია და ინტენსიური თანამშრომლობა მაქვს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებულ განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით არსებულ სამსახურებთან. ვიცნობ მათ საჭიროებებს, ძლიერ მხარეებს, მათ მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებს.

მინდა ხაზგასმით განვმარტო, რომ ხარაგაულში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებას. ადგილობრივი ხელისუფლება, მაქსიმუმს აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენ მომავალ თაობას ღირსეული აწმყო შეუქმნას. ამის დასტურია ის, რომ ბოლო წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში თექვსმეტი საბავშვო ბაღი აშენდა, რამდენიმეს კი რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სკოლამდელმა დაწესებულებებმა ფუნქციონირება დაიწყეს ისეთ სოფლებში, სადაც საბავშვო ბაღები არასდროს ყოფილა. დაგეგმილია ისეთ სოფლებაში, სადაც ამის საჭიროებაა. უნდა შევეხო იმ ფაქტსაც, რომ ხარაგაულის ბაღებში საკმაოდ მრავალფეროვანია კვების რაციონი და მოიცავს ყველა იმ საჭირო საკვებ პროდუქტს, რაც აუცილებელია ბავშვის სრულფასოვანი ზრდა-განვითარებისათვის.

სისტემატურად ხორციელდება საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და მოსწავლეებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ სრულფასოვანი განათლება მიიღონ. აღსანიშნავია ისიც, რომ პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მოსწავლეები

უფასოდ იღებენ სახელმძღვანელოებს, პირველკლასელები კი-პორტაბელურ კომპიუტერებს. გარდა ამის, ბავშვებს უფასოდ ემსახურებათ სასკოლო ავტობუსები.

2023 წელს საჯარო სკოლებში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.ასევე სრული რეაბილიტაცია უტარდება სოფელ ვაშლევის საჯარო სკოლა.

ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ერთ -ერთი მთავარი პრიორიტეტია, ასევე სპორტის განვითარება და წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა. ჩემს სამაჟორიტარო სოფელში ვახანში ყოველწლიურად ტარდება შეჯიბრი დოღსა და ჟიდაობაში,რომელსაც ყოველთვის ყურადღებით ვეკიდები,ვესწრები და ვმონაწილეობ წამახალისებელ აქტივობებში.

ხარაგაულის საკრებულოში ფუნქციონირებს ახალგაზრდული საკრებულო, რომელიც მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო და კერძო სკოლის მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული. პროექტის მიზანია, ახალგაზრდებმა გაიცნონ წარმომადგენლობითი ორგანო, მათი სტრუქტურა-საქმიანობა, დანიშნულება და ფუნქცია. იყონ აქტიური მოქალაქეები და დაგეგმონ მუნიციპალიტეტისათვის საჭირო სხვადასხვა პროექტი.აქტიურად ვარ ჩართული ახალგაზრდულ საკრებულოში წარმოდგენილი ჩვენი თემიდან წარდგენილი მოსწავლეების ტრანსპორტირებაში.ასევე როგორც ერთ-ერთი სკოლის დირექტორი უშუალოდ ვარ ჩართული მოსწავლეთა მიერ დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში.

ასევე აქტიურად ვარ ჩართული ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობაში.ვესწრები ყველა სხდომას და გამოვხატავ ჩემს პოზიციას ყველა საკითხთან დაკავშირებით.ჩემი სადეპუტატო თემიდან ინდივიდუალურად პიროვნებებს ვუწევ სათანადო კონსულტაციას,ვეხმარები მათ სოციალური დახმარების განსაზღვრის პროცესში სათანადო დოკუმენტაციის მოწესრიგებაში.ასევე მოსახლეობის მომართვის საფუძველზე ვერთვები სხვადასხვა სახის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემის მოგვარების მიმართულებით.

კომისიის წინაშე ვაყენებ სათანადო საკითხებს,რაც გამოიკვეთება მოსახლეობასთან შეხვედრების დროს ასევე ინდივიოდუალური მომართვის საფუძველზე.

კომისიის საქმიანობის ერთწლიან პერიოდში ბევრი კარგი და მნიშვნელოვანი აქცია განხორციელდა.კერძოდ ექიმების ბრიგადის მიერ მოსახლეობის კვლევა,ასევე ჯანდაცვის რაიონული ორგანიზაციის მიერ მოსახლეობის ტესტირება ცჰეპატიტზე.

როგორც მაჟორიტარი დეპუტატი ჩართული ვარ სოფლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მონიტორინგის პროცესებში.კერძოდ სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრების და ერთობლივი განხილვის საფუძველზე გამოვლენილი პრიორიტეტული საკითხების დაგეგმაში აქტიურად ვთანამშრომლობ სოფლების ხელმძღვანელობასთან და ასევე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურებთან.შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში ვერევი და ხელს ვუწყობ პროექტების ხარისხიანად და მითითებულ ვადებში განხორციელებას.

მიმდინარე წელს სოფლების მიხედვით განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრატსრუქტურული პროექტები.

სოფელი ლეღვანი:მოეწყო გარე განათება,მოწესრიგდა წყლის სისტემა შარიქაძეების უბანში,მობეტონდა სასაფლაოს მისასვლელი გზა

სოფელი მარელისი-ბერაწმინდაში მობეტონდა წყაროსთან მისასვლელი 15 კმ. გზა.

გაკეთდა სანიაღვრე არხი ტაბატაძეების უბანში ,მოხდა ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.მოწესრიგდა ნაგუთის უბანში წყლის სისტემა. ცისკაძეების უბანში მოეწყო სანიაღვრე არხის ცხაურები.

ქურდაძეები-სახვაძეების უბანში განხორციელდა საუკუნის პროექტი დაპროექტდა და მობეტონდა 2 კმ და 300 მეტრი გზა.არასოდეს ამ მიმართულებით სოფელში არ არსებობდა მოწესრიგებული გზა.

სოფელი დიდვაკე-განხორციელდა კაციტაძეების უბნის გზის ირგვლივ კეთილმოწყობის სამუშაოები.

სოფელი პატარა სახვლარი-**მ**ოიხრეშა და მოწესრიგდა სოფლის გზა.

სოფელი ვახანი-შემოიღობა სოფლის ორი სასაფლაო.კეთილმოეწყო სოფლის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია.

სოფელი სერბაისი-მოწესრიგდა სანიაღვრე არხი. გაკეთდა 30 მეტრი კედელი გზის გასწვრივ არევაძეების უბანში.

სოფელი ზედუბანი- მოეწყო გარე განათება,მოწესრიგდა სანიაღვრე არხის ცხაურები.

აღნიშნული პროექტების მიმდინარეობის დროს თვალყურს ვადევნებდი საქმის წარმოებას, დასრულების დროს ვაფიქსირებდი დათვალიერების საფუძველზე ხელმოწერას.

სადგურ მარელისის ტერიტორიაზე მეწყერის შედეგად მოსახლეობას სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა შეიქმნა.უწყლოდ დარჩა 24 ოჯახი.ჩემი უშუალო ჩართულობით მერიის შესაბამის სამსახურებთან შეძენილი იქნა წყლის ავზი და დროულად მოეწყო ალტერნატიული წყლის სისტემა.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო სადგურ მარელისის ტერიტორიაზე მეწყერის შედეგად დანგრეული ხიდის აშენება და უკვე რეაბილიტაციაში შესვლა,რამაც ძალიან გაამარტივა ადგილობრივი მოსახლეობის და სკოლის ტრანსპორტირების საკითხი.

მიმდინარე წელს სისტემატიურად ვხვდები მოსახლეობას,როგორც ჯგუფურად ასევე ინდიდუალურად.სულ განვახორციელე 15 მიზნობრივი შეხვედრა,ასევე მუდმივად ვპასუხობ ამომრჩევლებს ტელეფონზე და სათანადო დახმარებას ვუწევ მოთხოვნების შესაბამისად.

განსაკუთრებული რთული იყო მიმდინარე წელს სტიქია,რომელმაც მნიშვნელოვნად დააზარალა სოფლის კომუნიკაციები და გზები.თითქმის ყველა უბნის და მოსახლის საჭიროების მოსმენის და ნახვის შემდეგ შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაციით მრავალი საკითხი მოუწესრიგდა მოსახლეობას.თუმცა კიდევ არის დარჩენილი სხვადასხვა სახის გაწმენდითი სამუშაოები და იმედია შესაბამისი სამსახურები მითითებულ ვადაში მოაწესრიგებენ პრობლემას,რადგან ყველა შესაბამისი სტრუქტურა ინფორმირებულია აღნიშნული პრობლემის მოგვარების აუცილებლობაზე.

ჩემი უფლება-მოვალეობების ფარგლებში კვლავ გავაგრძელებ მჭიდრო თანამშრომლობას მუნიციპალიტეტის მერიასთან, აქტიურად განვაგრძობ მოსახლეობასთან კომუნიკაციას და ყველა დონეზე მათი ინტერესების დაცვას.

ვერა ოდიკაძე

2023 წლის 30 ოქტომბერი